

განმარტებითი ბარათი
კანონპროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო
კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 13¹ მუხლის შესაბამისა საგადასახადო საქმეთა განხილვის ვადა სასამართლოში სარჩელის შეტანის მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემამდე არ უნდა აღემატებოდეს ო კვირას. წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს აღნიშნული ვადის ერთვემდე გაზრდას, ვინაიდან სასამართლოებში არსებულ განსახილველ საქმე დიდი ოდენობიდან გამომდინარე ფაქტიურად ვერ ხერხდება კანონით დადგენილ ვადის დაცვა, რაც იწვევს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევას, აღნიშნულისაგან გამომდინარე სხვა უარყოფით სამართლებრივ შედეგებს.

გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს განმწესრიგებელი სხდომის ჩატარების საკითხის ახლებურად დარეგულირებას. კოდექსის შესაბამისა განმწესრიგებელი სხდომის დანიშნულებას წარმოადგენს პროცესისათვის საქმის წინასწარი მომზადება. იმის გამო, რომ ბევრი ადმინისტრაციული საქმე თავის შინაარსით არის მარტივი და არ წარმოშობს წინასწარი განხილვის აუცილებლობას, კოდექსით დადგენილი განმწესრიგებელი სხდომის ჩატარების სავალდებულობა აჭიანურებს საქმის განხილვას. აქედან გამომდინარე პროექტი სხდომის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოს, რომელმაც აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყვიტოს განსახილველი საქმის სირთულიდან გამომდინარე.

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფასთან.